ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

უფლებებისთვის“

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 07 აპრილი 2015 წელი

ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისთვის“ წარმომადგენლი თავმჯდომარის თამაზ მჟავანაძის სახით და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის ერმილე მესხიას ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. **მემორანდუმის საგანი**

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს უკეთესი პირობების შექმნას შშმ პირებისთვის, უფრო მეტი ადამიანის ჩართულობას ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროებთან დაკავშირებული მიმართულებით.

2. **მემორანდუმის მიზანი**

2.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია შშმ პირთა განვითარების ხელშეწყობა;

2.2 ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო საქმიანობისა და შშ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

3.1 ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვალდებულებას:

3.1.1 ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის“ ორგანიზაციის წევრები ჩართოს თავიანთ მიზნობრივ პროგრამებში.

3.1.2 ორგანიზაციის რეკომენდაციით მიიღოს სტუდენტები და პედაგოგები, რომლებიც ჩაატარებენ ტრენინგ-სემინარებს შშმ პირებთან დაკავშირებით;

3.1.3 ორგანიზაციასთან ერთად დაგეგმოს სხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას.

3.2 ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისთვის“ კისრულობს ვალდებულებას:

3.2.1 უნივერსიტეტის ჩართულობას თავიანთ მიზნობრივ პროგრამებში;

3.2.2 ორგანიზაცია არ განახორციელებს ისეთ ქმედებასა თუ აქტივობას რაც საზიანო იქნება მხარეებისათვის.

4. **მემორანდუმის მოქმედების ვადა**

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს უვადოთ, მიერთსება თავისუფალია.

4.2 მემორანდუმი შედგენილია ოთხ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებებისათვის“ თავმჯდომარე **თამაზ მჟავანაძე**

ბათუმის ხელონების უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი **ერმილე მესხია**

მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების
მქონე პირთა უფლებებისათვის“
მის.: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. № 11
ტელ.: (+995) 557 12 49 84

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი
მის.: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37
www.batu.edu.ge; info@batu.edu.ge
ტელ: (+995) 593 32 57 96